



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #61

იანვარი-თებერვალი, 2018

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ევროკომისიას ორგანიზაციაში განხორციელებული დამმობილების (TWINNING) პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა

1 „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ევროკომისიას ორგანიზაციაში განხორციელებული დამმობილების (TWINNING) პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა

1



6-8 თებერვალს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ იურიდიული სამმართველოს უფროსმა ნატალია გოდერძიშვილმა ბრიუსელში, ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში - „Information Building Day“ - მიიღო მონაწილეობა.

2 პეტიციების ელექტრონულ პორტალზე (ICHANGE.GOV.GE) მოქალაქეებს რეგისტრაციის გავლა MY.GOV.GE-ის მომხმარებლის სახელითა და პაროლით შეუძლიათ

2

ღონისძიება მიზნად ისახავდა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ინფორმაციის გაზიარებას, თუ როგორ სარგებლობენ არაწევრი ქვეყნები ევროკავშირის დახმარების მექანიზმებით.

ნატალია გოდერძიშვილმა, საქართველოში ევროდელეგაციის წარმომადგენლობის თხოვნით, გააკეთა პრეზენტაცია „მონაცემთა გაცვლის სააგენტოში“ განხორციელებული დამმობილების (TWINNING) ორი პროექტის შესახებ.

3 უვიზო მიმოსვლის დღეების გამომთვლელი მობილური აპლიკაცია - SCHENGEN/EU APP

3

„მოგეხსენებათ, რომ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოში“ ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით ევროკავშირის დამმობილების ორი პროექტი განხორციელდა, რამაც არსებითი დახმარება გაგვიწია ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში. აღნიშნული სტრატეგია სწორედ დამმობილების პროექტების ფარგლებში ევროპელი ექსპერტებისა და საქართველოს საჯარო სექტორის წარმომადგენლების აქტიური თანამშრომლობის შედეგად მომზადდა (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge




www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) ეს არის ელექტრონული საქართველოს (eGeorgia) სტრატეგია, რომელიც 2014-2018 წლებზეა გათვლილი. პროექტებმა ასევე შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზიარებინა ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა და დაგვემყარებინა მჭიდრო საქმიანი კონტაქტები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასევე მნიშვნელოვანია პროექტების წვლილი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით: ორი პროექტის ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ სამი სემინარი მედიის წარმომადგენლებისთვის და ორგანიზება გავუკეთეთ ელექტრონული მმართველობის ონლაინ ვიქტორინას, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია“, - ნატალია გოდერძიშვილი, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ იურიდიული სამმართველოს უფროსი.

პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან და არაერთი დადებითი შეფასება მოჰყვა. აღინიშნა, რომ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიღწევების გათვალისწინებით, ორგანიზაციაში განხორციელებული დამოზიარების პროექტების წინადადებები სხვა ქვეყნებსაც გადაეგზავნება მაგალითის სახით.

ევროკავშირის დამოზიარების (Twinning) პროგრამა ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების, საჯარო დაწესებულებების თანამშრომლობას მათ პარტნიორებთან ევროკავშირის სახელმწიფოებში. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარება არაწევრი ქვეყნების სხვადასხვა ინსტიტუტისთვის, რაც ხელს უწყობს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას.

## პეტიციების ელექტრონულ პორტალზე (ICHANGE.GOV.GE) მოქალაქეებს რეგისტრაციის გავლა MY.GOV.GE-ის მომხმარებლის სახელითა და პაროლით შეუძლიათ



ICHANGE.GOV.GE - პეტიციების ელექტრონული პორტალი საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს ან/და მოქალაქეთა ჯგუფს საშუალებას აძლევს პეტიციის მეშვეობით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას მიმართოს.

ICHANGE.GOV.GE საქართველოს მთავრობის პროექტია, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებული

ვალდებულების მიხედვით შეიქმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.

ელექტრონული პეტიციების პორტალი ICHANGE.GOV.GE მოქალაქეებისთვის საუკეთესო საშუალებაა ჩაერთონ საჯარო პოლიტიკაში და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარების საქმეში. ელექტრონული პეტიციის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ საქართველოს მთავრობის ყურადღება გაამახვილონ იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

ელექტრონული პეტიციების პორტალზე დასარეგისტრირებლად (და შემდეგ მომხმარებლის პროფილზე შესასვლელად) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ახალი პირადობის მოწმობა (ბარათის წამკითხველთან ერთად), ისე MY.GOV.GE-ს მომხმარებლის სახელი და პაროლი

ელექტრონული პეტიციების ტექნიკური პლატფორმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შეიქმნა.

**უვიზო მიმოსვლის დღეების გამომთვლელი მობილური აპლიკაცია - "SCHENGEN/EU APP"**



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში" უვიზო მიმოსვლის დღეების გამომთვლელი მობილური აპლიკაციის პრეზენტაცია გაიმართა.

მობილური აპლიკაცია მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ჩაინიშნონ შენგენის/ევროკავშირის ზონაში გატარებული დღეები და გამოითვალონ დარჩენილი დღეების რაოდენობა, რათა უნებურად არ დაარღვიონ უვიზო მიმოსვლის წესები.

აპლიკაციის დახმარებით შესაძლებელი იქნება: შენგენის ზონაში მოგზაურობის ისტორიის შენახვა (მათ შორის, ქვეყნების მითითებით), დარჩენილი დღეების რაოდენობის გამოთვლა, კონკრეტული მოგზაურობის ან მოგზაურობის ისტორიის ამსახველი ვიზუალური ინფორმაციის გაზიარება სოციალურ ქსელებში.

მობილური აპლიკაცია უფასოა და ხელმისაწვდომია როგორც ანდროიდის, ისე iOS-ის სისტემებზე მომუშავე მობილური მოწყობილობებისთვის.

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო**



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ "Subscribe" ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ